ხელშეკრულება № 170

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „7“„10“2011წ.

ერთის მხრივ, შპს „GAMApromotion“-ის (შემდგომში „მიწოდებელი“), დირექტორი ნინო ტუღუშის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა სუვენირების (216 ცალი კალენდარი) ყიდვა გაყიდვისას;
1.2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია სუვენირები (CPV – 18500000);

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2160.00 (ორი ათას ას სამოცი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; საქართველოს კანონი;
3.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი;

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს;
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, მელაშვილის ქ. №26.

5. საქონლის მიღება ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიწოდების და საბოლოო შემოწმების დროს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორების ფორმა ვადები და ადგილი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში;
6.2. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მიმდინარე წლის 17 ოქტომბრამდე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
8.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი;
8.3. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს;
8.4. დარღვევების აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
9.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;

9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მიმწოდებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას;
12.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისთვის უფლებების გადაცემა;
12.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;
12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მერე კი მიმწოდებელს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი

შპს „GAMApromotion"- ის
დირექტორი

---------- ნ.ტუღუში

პროკრედიტ ბანკი ბათუმის
ფილიალი
ანგ/ნ.360201010301323
ს.კ 245629342
26 მაისის ქ. №29

შემსყიდველი

სსიპ „კონსტიტუციონალიზმის
კვლევისა და ხელშეწყობის
რეგიონალური ცენტრი"-ს
ხელმძღვანელი

---------- ა.დემეტრაშვილი

სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი 0516
საიდ/კოდი 204578242
ქ. ბათუმი მელაშვილის ქ. №26